დანართი

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესი

წინამდებარე წესი განსაზღვრავს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული და მცხოვრები პირებისთვის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან (შემდგომში მუნიციპალიტეტი) სოციალური დახმარების დანიშვნასთან და გაცემასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს, ადგენს სოციალური დახმარების სახეებს, ბენეფიციართა კატეგორიებს, დახმარების დანიშვნისა და გაცემის ძირითად სახელმძღვანელო პრინციპებს.

თავი I

სოციალური დახმარების სახეები, ბენეფიციართა კატეგორიები და მის მისაღებად საჭირო დოკუმენტაცია

მუხლი 1. ახალშობილთა ოჯახების ერთჯერადი ფულადი დახმარება

1. ქვეპროგრამის მოსარგებლეები არიან ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული პირები, რომლებიც ფაქტობრივად ცხოვრობენ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში.

2.ქვეპროგრამის მოსარგებლე მიიღებს ერთჯერად ფულად დახმარებას ახალშობილზე 200 (ორასი) ლარს.

3. დახმარების მისაღებად ახალშობილის ერთ-ერთმა მშობელმა მუნიციპალიტეტის მერიაში უნდა წარმოადგინოს:

ა) წერილობითი განცხადება;

ბ) მშობლის პირადობის მოწმობის ასლი;

გ) ახალშობილის დაბადების მოწმობის ასლი;

დ) ცნობა ფაქტობრივი საცხოვრებელი ადგილის შესახებ;

ე) ქორწინების მოწმობის ასლი (არსებობის შემთხვევაში);

ვ) განმცხადებლის საბანკო რეკვიზიტები;

4. დახმარება გაიცემა მუნციციპალიტეტის მერის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის (ბრძანების) საფუძველზე.

მუხლი 2. ომის ვეტერანების და საქართველოს თავისუფლებისა დატერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლის მონაწილე პირების დაკრძალვის (სარიტუალო) ხარჯი.

1. დახმარების მისაღებად მუნიციპალიტეტის მერიაში წარმოდგენილ უნდა იქნეს შემდეგი დოკუმენტაცია:

ა) ოჯახის წევრის ან დაკრძალვის ხარჯის გამღების წერილობითი განცხადება ;

ბ) განმცხადებლის პირადობის მოწმობის ასლი;

გ) ომის მონაწილის ბარათის ქსეროასლი;

დ) ომის მონაწილის გარდაცვალების მოწმობის ასლი;

ე) განმცხადებლის საბანკო რეკვიზიტები.

2. გარდაცვლილ პირის სარიტუალო მომსახურების ხარჯი განისაზღვროს 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით;

3. თანხა გაიცემა მუნიციპალიტეტის მერის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის (ბრძანების) საფუძველზე.

მუხლი 3. საქართველოს თავისუფლებისა და ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში გარდაცვლილ მეომართა ოჯახების და დაზარალებული პირების დახმარება

1. დახმარების დასანიშნად მუნიციპალიტეტის მერიაში წარმოდგენილი უნდა იქნეს შემდეგი დოკუმენტაცია:

ა) წერილობითი განცხადება;

ბ) განმცხადებლის პირადობის მოწმობის ასლი;

გ) გარდაცვალების მოწმობის ასლი;

დ) გარდაცვლილის მემკვიდრის დამადასტურებელი დოკუმენტი

ე) შესაბამისი სტატუსის დამადასტურებელი ცნობა;

ვ) საბანკო რეკვიზიტები;

2. ყოველთვიური ფულადი დახმარება განისაზღვროს:

ა) საქართველოს თავისუფლებისა და ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლის მონაწილე საბრძოლო ჭრილობების შედეგად გარდაცვლილი (ომის შემდგომი პერიოდი) მებრძოლის ოჯახს 300 (სამასი) ლარის ოდენობით;

ბ) ქ.თბილისში 1989 წლის 9 აპრილს საქართველოს დამოუკიდებლობის მიზნით გამართული მშვიდობიანიანი აქციის დროს დარბევის შედეგად დაზარალებული (მოწამლული) პირებისათვის 150 (ას ორმოცდაათი) ლარის ოდენობით.

3. ერთჯერადი ფულადი დახმარებას 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით მიიღებს:

ა) ქ.თბილისში 1989 წლის 9 აპრილს საქართველოს დამოუკიდებლობის მოთხოვნით გამართული მშვიდობიანი აქციის დარბევის შედეგად გარდაცვლილი პირის ერთი ოჯახი და ორი დაზარალებული (მოწამლული) პირი.

ბ) აგვისტოს ომის დროს დაღუპული მეომრის სამი ოჯახი და აფხაზეთის კონფლიქტის დროს დაღუპული მეომრის რვა ოჯახი;

გ) ზამთრის სეზონთან დაკავშირებით საშეშე მერქნის შესაძენად გარდცვლილი პირის თითოეული ოჯახი დამატებით მიიღებენ 200 (ორასი) ლარს.

4. დახმარება გაიცემა მუნიციპალიტეტის მერის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის (ბრძანების) საფუძველზე.

5. ერთჯერადი ფულადი დახმარება და შეშის შესაძენი თანხა გაიცემა დაზუსტებული სიის მიხედვით.

მუხლი 4. მეორე მსოფლიო ომის ვეტერანების, 9 მაისის დღესასწაულთან დაკავშირებით ერთჯერადი ფულადი დახმარება

1. დახმარების მისაღებად მუნიციპალიტეტის მერიაში ბენეფიციარმა ან კანონიერმა წარმომადგენელმა უნდა წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტაცია:

ა) განმცხადებლის პირადობის მოწმობის ასლი;

ბ) ომის მონაწილის პირადობის მოწმობის და ომის ვეტერანის ბარათის ასლი;

გ) განმცხადებლის საბანკო რეკვიზიტები;

2. დახმარების ოდენობა ომის თითოეულ მონაწილეზე განისაზღვროს 1000 (ათასი) ლარის ოდენობით.

3. თანხა გაიცემა ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის (ბრძანების) საფუძველზე.

მუხლი 5. მოქალაქეთა სარიტუალო მომსახურებსი ხარჯი

1. ქვეპროგრამის მოსარგებლები არიან:

ა) 0-დან 65 000-ის ჩათვლით სარეიტინგო ქულის მქონე პირები,

ბ) მარტოხელა ბენეფიციარები(რომელთაც არ ჰყავთ პირდაპირი მემკვიდრე დედა, მამა, მეუღლე, ბებია, ბაბუა, შვილი, გერი, შვილიშვილი).

2. სარიტუალო მომსახურების თანხის მისაღებად ,განმცხადებელმა უნდა წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტაცია:

ა) დაკრძალვის ხარჯის გამღების წერილობითი განცხადება;

ბ) განმცხადებლის პირადობის მოწმობის ასლი;

გ) გარდაცვალების მოწმობის ასლი;

დ) განმცხადებლის საბანკო რეკვიზიტები;

ე) ცნობა სარეიტინგო ქულის შესახებ.

ვ) შესაბამისი ადმინისტრაციული ერთეულის წარმომადგენლის შუამდგომლობა

1.1.,,ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნა არ ვრცელდება მარტოხელა ბენეფიციარზე.

2. სარიტუალო მომსახურების ხარჯი განისაზღვროს 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით;

3. თანხა გაიცემა მუნიციპალიტეტის მერის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტის (ბრძანების) საფუძველზე.

მუხლი 6. 100 წელსა და მეტი ასაკის მოქალაქეთათვის ერთჯერადი ფულადი დახმარება

1. ქვეპროგრამის მოსარგებლეები არიან მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული და მცხოვრები 100 წლის და მეტი ასაკის პირები, ასევე იძულებით გადაადგილებული სტატუსის მქონე პირები, რომლებსაც დევნილის სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტის მიხედვით რეგისტრირებულ მისამართად უფიქსირდებათ - ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი.

2. ფულადი დახმარება განისაზრვრება 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით.

3. განსაზღვრული დახმარება გაიცემა ერთხელ, საბიუჯეტო წლის განმავლობაში მოსარგებლის ან ოჯახის კანონიერი წარმომადგენლის განცხადების საფუძველზე.

4. დახმარების მისაღებად განცხადებას თან უნდა ერთვოდეს:

ა) მოსარგებლის პირადობის მოწმობის ასლი;

ბ) იძულებით გადაადგილებული პირის მოწმობის ასლი;

გ) მოსარგებლის საბანკო რეკვიზიტები;

5. ფულად დახმარება გაიცემა მუნიციპალიტეტის მერის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის (ბრძანების) საფუძველზე.

მუხლი 7. იძულებით გადაადგილებულ პირთა-დევნილთა დახმარება

1. დახმარებით ისარგებლებენ იძულებით გადაადგილებული პირი სტატუსის მქონე მოქალაქეები, რომლებსაც სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტის მიხედვით რეგისტრირებულ მისამართად უფიქსირდებათ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი.

2. ერთჯერადი ფულადი დახმარების ოდენობა განისაზღვროს:

ა) ზამთრისათვის საშეშე მერქნის შესაძენად თითოეული ოჯახისათვის 200 (ორასი) ლარით;

ბ) გარდაცვლილი დევნილის სარიტუალო მომსახურების ხარჯი განისაზღვროს 500 (ხუთასი) ლარით;

გ) დევნილი ოჯახის ერთჯერადი დახმარება 200 (ორასი) ლარით;

3. დახმარების მისაღებად განმცხადებელმა/წარმომადგენელმა მუნიციპალიტეტის მერიაში უნდა წარმოადგინოს:

ა) ბენეფიციარის ან ოჯახის წევრის/წარმომადგენლის წერილობითი განცხადება;

ბ) ამ მუხლის მეორე პუნქტის ,,ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში ოჯახის წევრის ან დაკრძალვის ხარჯის გამღების წერილობითი განცხადება;

გ) განმცხადებლის პირადობის მოწმობის ასლი;

დ) იძულებით გადაადგილებულ პირის/დევნილის დამადასტურებელი საბუთის ასლი;

ე) იძულებით გადაადგილებულ პირის/დევნილის გარდაცვალების მოწმობა (დევნილის გარდაცვალების შემთხვევაში);

ვ) განმცხადებლის საბანკო რეკვიზიტები;

ზ) მერის წარმომადგენლის მიერ გაცემული ცნობა (შუამდგომლობა);

თ) ამ მუხლის მეორე პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის გათვალისწინების შემთხვევაში ბენეფიციარმა მუნიციპალიტეტის მერიაში უნდა წარმოადგინოს მოქალაქის პირადობისა და დევნილის მოწმობის ასლი და საბანკო რეკვიზიტები.

4. თანხა გაიცემა მუნიციპალიტეტის მერის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის (ბრძანების) საფუძველზე.

მუხლი 8. მძიმე საცხოვრებელ პირობებში მყოფი, უბედური შემთხვევებისა და სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული ოჯახების ერთჯერადი ფულადი დახმარება, საჭიროების შემთხვევაში საცხოვრებელი ფართით დროებით უზრუნველყოფა.

1. პროგრამაში ჩართვის პრიორიტეტია: სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული ოჯახები, რომლებსაც შესაბამისი უწყების სპეციალისტების შეფასებით დაუდგინდა პრევენციული ღონისძიებების ორგანიზება/დემონტაჟი.

2. დამატებითი კრიტერიუმები:

ა) ოჯახი სადაც ცხოვრობს ორი ან მეტი 18 წლამდე ასაკის პირი;

ბ)ოჯახი სადაც ცხოვრობს შშმ პირი და მუდმივ მწოლიარე ბენეფიციარი.

3. პროგრამაში ჩართვის გამომრიცხავი გარემოებებია, სახელმწიფოს მიერ ან მუნიციპალიტეტის პროგრამით ბოლო ორი წლის განმავლობაში გაწეული დახმარება ასევე ალტერნატიული საცხოვრებელი ფართი.

3.დახმარების მისაღებად მოქალაქემ მუნიციპალიტეტის მერიაში უნდა წარმოადგინოს:

ა) წერილობითი განცხადება;

ბ) პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;

გ) ადმინისტრაციული ერთეულში მერის წამომადგენლის შუამდგომლობა;

დ) განმცხადებლის საბანკო რეკვიზიტები;

ე) შესაბამისი უწყების მიერ გაცემული ცნობა/ინფორმაცია ფაქტობრივი გარემოებების დადასტურების შესახებ

3. მძიმე საცხოვრებელ პირობებში, უბედური შემთხვევისა და სტიქიური მოვლენების შედეგად უსახლკაროდ დარჩენილ და დაზარალებულ ოჯახების მდგომარეობას საცხოვრებელი ფართის დაქირავების მიზანშეზონილობის საკითხებს შეისწავლის ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანებით შექმნილი სამუშაო ჯგუფი;

4. სამუშაო ჯგუფი შეისწავლის განცხადებაში მოყვანილ გარემოებებს და სათანადო დასკვნის საფუძველზე გასცემს რეკომენდაციას შესაბამისი დახმარების თაობაზე.

5. მძიმე საცხოვრებელ პირობებში მყოფი, სტიქიური მოვლენების და უბედური შემთხვევების შედეგად დაზარალებული ოჯახების ფულადი დახმარება განისაზღვროს არაუმეტეს 5000 (ხუთი ათასი) ლარით, გარდა ხანძრის შედეგად დაზარალებულისა.

6. ხანძრის შედეგად დაზარალებული ოჯახის ერთჯერადი ფულადი დახმარება განისაზღვროს 10 000 (შვიდი ათასი) ლარი.

7. დროებით საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფისატვის ბინის ქირის ოდენობა განისაზღვროს თვეში 200 (ორასი) ლარი;

8. დახმარება გაიცემა ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტის (ბრძანების) საფუძველზე.

მუხლი 9. 18 წლამდე ასაკის დედ-მამით ობოლი ბავშვებისადმი ყოველთვიური ფულადი დახმარება

1. დედ-მამით ობოლი ბავშვების კანონიერმა წარმომადგენელმა დახმარების დასანიშნად მუნიციპალიტეტის მერიაში უნდა წარმოადგინოს:

ა) წერილობითი განცხადება;

ბ) კანონიერი წარმომადგენლობის დამადასტურებელი

დოკუმენტი;

გ) კანონიერი წარმომადგენელის პირადობის მოწმობის

ასლი;

დ) ბავშვის დაბადების მოწმობის ან პირადობის მოწმობის ასლი;

ე) კანონიერი წარმომადგენლის საბანკო რეკვიზიტები.

2. თითოეული ბენეფიციარისათვის ყოველთვიური ფულადი დახმარება განისაზღვროს 200 (ორასი) ლარით;

3. ბენეფიციარები, რომლებიც 2026 წლის პირველი იანვრისთვის სარგებლობენ მე-9 მუხლით გათვალისწინებული დახმარებით მათზე ამ მუხლის პირველი პუნქტის მოთხოვნა არ ვრცელდება, გარდა კანონიერი წარმომადგენლის შეცვლის შემთხვევისა.

4. დახმარება გაიცემა მუნიციპალიტეტის მერის ინდივიდუალურ ადმინისტრაციული სამართლებლივი აქტის (ბრძანების) საფუძველზე.

მუხლი 10. მრავალშვილიანი ოჯახების ყოველთვიური ფულადი დახმარება

1. ქვეპროგრამით ისარგებლებენ მრავალშვილიანი ოჯახები, რომლებსაც ჰყავთ ოთხი და მეტი 18 წლამდე ასაკის ბავშვი და ოჯახის სარეიტინგო ქულა არ არემატება 0-დან 200 000-ს

2. დახმარების დასანიშნად მშობლებმა მუნიციპალიტეტის მერიაში უნდა წარმოადგინონ:

ა) წერილობითი განცხადება;

ბ) განმცხადებლის პირადობის მოწმობის ასლი;

გ) ბავშვების დაბადების მოწმობის ასლები;

დ) განმცხადებლის საბანკო რეკვიზიტები;

ე) ცნობა ოჯახის სარეიტინგო ქულის შესახებ.

ვ) ოჯახს ეხსნება დახმარება ერთ-ერთი შვილის 18 წლის ასაკის შესრულებისას.

3. ფულადი დახმარება განისაზღვრება თითოეულ ბავშვზე თვეში 30 (ოცდაათი) ლარის ოდენობით.

4. ყოველთვიური ფულადი დახმარება ირიცხება განმცხადებლის საბანკო ანგარიშზე.

5. თანხა გაიცემა მუნიციპალიტეტის მერის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის (ბრძანების) საფუძველზე.

მუხლი 11. საქართველოს კანონის „ბავშვის უფლებათა კოდექსის“ შესაბამისად ბავშვის უფლებების დაცვის და მხარდაჭერის მიზნით ფულადი დახმარება.

1. ქვეპროგრამის მოსარგებლეები არიან სიღატაკეში ან/და კრიზისში მყოფი ბავშვიანი ოჯახები,

რომლებიც განსაკუთრებულ შემთხვევაში საჭიროებენ საკვები პროდუქტებით, ტანსაცმლით, საყოფაცხოვრებო ტექნიკით და სხვა გადაუდებელი საჭიროებათა უზრუნველყოფას.

2. მომსახურების სამიზნე ჯგუფს წარმოადგენენ სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის ბავშვის უფლებების დაცვის და მხარდამჭერის განყოფილება და სოციალური მუშაკის მიერ იდენტიფიცირებული და ბენეფიციარის კანონიერი წარმომადგენლის მიერ თანხმობით დადასტურებული ოჯახი, რომელიც რეგისტრირებულია ,,სოციალურად დაუცველი ოჯახის მონაცემთა ერთიან ბაზაში“ და შეფასების შედეგად მინიჭებული აქვს 65001-ზე ნაკლები სარეიტინგო ქულა.

3. დახმარების მისაღებად ბავშვის კანონიერმა წარმომადგენელმა მერიაში უნდა წარმოადგინოს:

ა) წერილობითი განცხადება;

ბ) პირადობის მოწმობის ასლი;

გ) ცნობა ოჯახის სარეიტინგო ქულის შესახებ;

დ) ცნობა ბავშვის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ სამედიცინო დოკუმენტაცია ფორმა N IV-100/ა;

ე) განმცხადებლის საბანკო რეკვიზიტები.

4. დახმარების მიზნობრიობა განისაზღვრება სოციალური მუშაკის მიერ სკრინინგის ფორმის შევსებისა და მოხსენებითი ბარათის შედგენის შემდეგ, ზიანის რისკის შეფასების შესაბამისად.

5.საკითხი განიხილება მერის ბრძანებით შექმნილი სამუშაო ჯგუფის მიერ, რომლის შემადგენლობაში შედის მერიის შესაბამის ტრუქტურული ერთეულის წარმომადგენლები და ორი წევრი მუნიციპალიტეტის საკრებულოდან ბავშვთა და ქალთა უფლებებზე მომუშავე საბჭოს შემადგენლობიდან.

5. ერთჯერადი ფულადი დახმარება განისაზღვროს ბენეფიციარის ოჯახზე 1000 (ათასი) ლარამდე.

6. თანხა გაიცემა მუნიციპალიტეტის მერის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის (ბრძანების) საფუძველზე.

მუხლი 12. ხელოვნური კვების პროდუქტების საჭიროების მქონე პირების დახმარება

1. ქვეპროგრამის მოსარგებლები არიან მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული პირები, რომლებიც საჭიროებენ ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში მკურნალობას და ხელოვნური კვების პროდუქტებით უზრუნველყოფას.

2. ქვეპროგრამის მოსარგებლე პირები, ბენეფიციარის მშობელი ან კანონიერი წარმომადგენელი საჭიროების მიხედვით მიიღებს ყოველთვიურ ფულად დახმარებას 350 (სამას ორმოცდაათი) ლარის ოდენობით, ან ხელოვნური კვების პროდუქტების მოთხოვნის შემთხვევაში თანხა ხელშეკრულების საფუძველზე გადაერიცხება პროდუქტების შემომტან ორგანიზაციას.

3. დახმარების მისაღებად ბენეფიციარმა, ერთ-ერთმა მშობელმა ან კანონიერმა წარმომადგენელმა მუნიცპალიტეტის მერიაში უნდა წარმოადგინოს:

ა) წერილობითი განცხადება;

ბ) განმცხადებლის პირადობის მოწმობის ასლი;

გ) ცნობა სამედიცინო დაწესებულებიდან ფორმა № IV-100/ა ;

დ) ბენეფიციარის დაბადების/პირადობის მოწმობის ასლი;

ე) საბანკო რეკვიზიტები.

4. ამ მუხლის მე-3 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის მოთხოვნა ხელშეკრულების გაფორმების შემთხვევაში ბენეფიციარის ან ბენეფიციარის მშობლის (კანონიერი წარმომადგენლის) მიმართ არ ვრცელდება.

5. ბენეფიციარები, რომლებიც პირველი იანვრისათვის სარგებლობენ ამ მუხლით გათვალისწინებული დახმარებით მათზე მე-12 მუხლის მე-3 პუნქტის ,,ა“, ,,გ“ და ,,ე“ ქვეპუნქტის მოთხოვნა არ ვრცელდება.

6. ფულადი დახმარება გიაცემა მუნიციპალიტეტის მერის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის (ბრძანების) საფუძველზე.

მუხლი 13. სოციალურად დაუცველი 0-დან 250 000-ის ჩათვლით სარეიტინგო ქულის მქონე 18 წელზე მეტი ასაკის პირების სამედიცინო მომსახურების თანადაფინანსება და მედიკამენტების ღირებულების ანაზღაურება

1. დახმარების მისაღებად განმცხდაებელმა (უფლებამოსილმა პირმა) მუნიციპალიტეტის მერიაში უნდა წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტაცია:

ა) წერილობითი განცხადება;

ბ) განმცხადებლის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;

გ) ცნობა სამედიცინო დაწესებულებიდან (ფორმა№ IV-100/ა);

დ) ცნობა ოჯახის სარეიტინგო ქულის შესახებ

ე) სამედიცინო დაწესებულების /აფთიაქის მიერ სამედიცინო მომსახურების შესახებ გაცემული კალკულაცია/ ანგარიშ-ფაქტურა/ინვოისი;

2. ბენეფიციარის მედიკამენტის შესაძენი თანხა განისაზღვროს არაუმეტეს 100 (ასი) ლარის ოდენობით, რომელიც გაიცემა საბიუჯეტო წლის განმავლობაში ერთხელ.

3. ბენეფიციარის სამედიცინო მომსახურების გადასახდელი თანხა 1000 (ათასი) ლარის ჩათვლით ანაზღაურდება არაუმეტეს 500 (ხუთასი) ლარით, 1001 (ათას ერთი) ლარზე მეტი კი 60%-ით, მაგრამ არაუმეტეს 1200 (ათას ორასი) ლარით.

4. საპენსიო ასაკის პირების მკურნალობის ხარჯები პანციეტის მიერ გადასხდელი თანხის ნაწილში ანაზღაურდეს არაუმეტეს 1500 (ათას ხუთასი) ლარით და მათზე არ ვრცელდება ამ მუხლის პირველი პუნქტის ,,დ“ ქვეპუნქტის მოთხოვნა;

5. თანხა ჩაერიცხოს მომსახურე სამედიცინო დაწესებულებას/აფთიაქს საბანკო რეკვიზიტებზე, წარმოდეგნილი დოკუმენტის შესაბამისად მუნიციპალიტეტის მერის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის (ბრძანების) საფუძველზე.

მუხლი 14. ონკოდაავადებულთა სამედიცინო მომსახურების თანადაფინანსება და მედიკამენტების ღირებულების ანაზღაურება

1. ქვეპროგრამის მოსარგებლები არიან ონკოლოგიური დიაგნოზის მქონე პირები, რომლებიც

საჭიროებენ სხვადასხვა სამედიცინო მომსახურების და მედიკამენტურ მკურნალობას.

2. თითოეული ბენეფიციარის სამედიცინო მოსახურების ხარჯი განისაზღვროს წელიწადში 2000 (ორიათასი) ლარით, ხოლო მედიკამენტების შესაძენი ხარჯის დაფინანსება 1000 (ათასი) ლარით;

3. დახმარების მისაღებად განმცხდაებელმა მუნიციპალიტეტის მერიაში უნდა წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტაცია:

ა) წერილობითი განცხადება;

ბ) განმცხადებლის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;

გ) ცნობა სამედიცინო დაწესებულებიდან (ფორმა№ IV-100/ა);

დ) შესაბამისი სამედიცინო დაწესებულების /აფთიაქის მიერ სამედიცინო მომსახურების შესახებ გაცემული კალკულაცია/ ანგარიშ-ფაქტურა/ინვოისი;

4. თანხა ჩაერიცხოს მომსახურე სამედიცინო დაწესებულებას/აფთიაქს საბანკო რეკვიზიტებზე, წარმოდეგნილი დოკუმენტის შესაბამისად მუნიციპალიტეტის მერის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის (ბრძანების) საფუძველზე.

მუხლი 15. 0-დან 18 წლამდე ასაკის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ოჯახების კომუნალური გადასახადების დაფარვა.

1. დახმარების მისაღებად ბენეფიციარის ერთ-ერთმა მშობელმა (კანონიერმა წარმომადგენელმა) მუნიციპალიტეტის მერიაში უნდა წარმოადგინოს:

ა) წერილობითი განცხადება;

ბ) შშმ პირის სტატუსის დამადასტურებელი მოწმობა;

გ) შშმ პირის პირადობის, ან დაბადების მოწმობის ასლი;

დ) შშმ პირის მშობლის (კანონიერი წარმომადგენლის) საბანკო რეკვიზიტები;

ე) განმცხადებლის პირადობის მოწმობის ასლი.

2. ყოველთვიური დახმარების ოდენობა თითოეულ ბენეფიციარის ოჯახზე განისაზღვროს 50 (ორმოცდაათი) ლარის ოდენობით;

3. თანხა გაიცემა ყოველთვიურად მუნიციპალიტეტის მერის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ- სამართლებრივი აქტის (ბრძანების) საფუძველზე.

მუხლი 16. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების სამედიცინო მომსახურებას თანადაფინანსება და მედიკამენტების ღირებულების ანაზღაურება

1. დახმარების მისაღებად შშმ პირმა/წარმომადგენელმა მუნიციპალიტეტის მერიაში უნდა წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტაცია;

ა) შშმ პირის/წარმომადგენლის წერილობითი განცხადება;

ბ) შშმ პირის/წარმომადგენლის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;

გ)ცნობა სამედიცინო დაწესებულებიდან (ფორმა N IV-100/ა);

დ) შშმ პირის დამადასტურებელი საბუთი;

ე) შესაბამისი სამედიცინო/სააფიაქო დაწესებულების ანგარიშ-ფაქტურა;

2. ბენეფიციარის სამედიცინო მომსახურების გადასახდელი თანხა 1000 (ათასი) ლარის

ჩათვლით ანაზღაურდება არაუმეტეს 500 (ხუთასი) ლარით, ხოლო 1001 (ათასერთი) ლარზე მეტი 60% (სამოცი) პროცენტით, მაგრამ არუმეტეს 2000 ლარი.

3. ბენეფიციარის მედიკამენტების შესაძენი თანხა განისაზღვროს 150 (ას ორმოცდაათი) ლარით, რომელიც გაიცემა საბიუჯეტო წლის განმავლობაში ერთხელ.

4. თანხა ჩაერიცხოს მომსასახურე სამედიცინო დაწესებულებას/აფთიაქს საბანკო რეკვიზიტებზე წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისად მუნიციპალიტეტის მერის ინდივიდიალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის (ბრძანების) საფუძველზე.

მუხლი 17. ომის ვეტერანების და საქართველოს თავისუფლებისა და ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში მონაწილე პირების სამედიცინო მომსახურების თანადაფინანსება და მედიკამენტების ღირებულების ანაზღაურება

1. დახმარების მისაღებად განმცხადებელმა მუნიციპალიტეტის მერიაში უნდა წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტაცია:

ა) წერილობითი განცხადება;

ბ) საქართველოს მოქალაქის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი:

გ) ცნობა სამედიცინო დაწესებულებიდან (ფორმაN IV-100ა);

დ) შესაბამისი სამედიცინო/სააფთიაქო დაწესებულების მიერ გაცემული ანგარიშ-ფაქტურა (ინვოისი);

ე) სსიპ ,,ვეტერანთა საქმეთა სახელმწიფო სამსახურის“ შუამდგომლობა;

ვ) ომის მონაწილე პირის ვეტერანის მოწმობის ასლი;

2. ბენეფიციარის სამედიცინო მომსახურების ანაზღაურება თანადაფინანსების სახით განისაზღვროს არაუმეტეს 800 (რვაასი) ლარით, ხოლო მედიკამენტების ღირებულების ანაზღაურება არაუმეტეს 150

(ას ორმოცდაათი) ლარით, რომელიც გაიცემა წელიწადში ერთხელ;

3. თანხა ჩაირიცხება შესაბამისი სამედიცინო დაწესებულების/აფთიაქის საბანკო რეკვიზიტებზე წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისად, მუნიციპალიტეტის მერის ინდივიდიალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის (ბრძანების) საფუძველზე.

მუხლი 18. 0-დან 18 წლამდე ასაკის ბავშვების სამედიცინო მომსახურების დაფინანსება და მედიკამენტების ღირებულების ანაზღაურება

1. დახმარების მისაღებად ბავშვის მშობელმა ან კანონიერმა წარმომადგენლმა მუნიციპალიტეტის მერიაში უნდა წარმოადგინოს:

ა) მშობლის ან კანონიერი წარმომადგენლის წერილობითი განცხადება;

ბ) განმცხადებლის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;

გ) 0-დან 18 წლამდე ასაკის პირის დაბადების ან პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;

დ) ცნობა სამედიცინო/სააფთიაქო დაწესებულებიდან (ფორმა № IV-100/ა) და ანგარიშ-ფაქტურა;

ე) ბენეფიციარის სამედიცინო მომსახურების ხარჯი ანაზღაურებული იქნეს სრულად,

ხოლო მედიკამენტების შესაძენი თანხა განისაზღვროს 100 (ასი) ლარით, რომელიც წელიწადში გაიცემა ერთხელ.

2. თანხა ჩაირიცხოს შესაბამის სამედიცინო დაწესებულების/აფთიაქის საბანკო რეკვიზიტებზე წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისად, მუნიციპალიტეტის მერის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის (ბრძანების) საფუძველზე.

მუხლი 19. თირკმლის უკმარისობით დაავადებული დიალიზზე მყოფი პირების ყოველთვიური დახმარება

1. ქვეპროგრამის მოსარგებლები არიან ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული პირები, რომლებიც საჭიროებენ ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში დიალიზის კურსის ჩატარებას.

2. ქვეპროგრამის მოსარგებლე მიიღებს ყოველთვიურად 200 (ორასი) ლარს მგზავრობის ღირებულების ასანაზღაურებლად.

3. დახმარების დასანიშნად ქვეპროგრამის მოსარგელემ მუნიციპალიტეტის მერიაში უნდა წარმოადგინოს:

ა) წერილობითი განცხადება;

ბ) პირადობის მოწმობის ასლი;

გ) ცნობა დიალიზის პროგრამაში მონაწილეობის შესახებ;

დ) განმცხადებლის საბანკო რეკვიზიტები;

4. ბენეფიციარები, რომლებიც სარგებლობენ ამ მუხლით გათვალისწინებული დახმარებით, მათზე ამ მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ „ბ“ და „დ“ ქვეპუნქტების მოთხოვნა არ ვრცელდება.

5. დახმარება გაიცემა მუნიციპალიტეტის მერის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტის (ბრძანების) საფუძველზე.

მუხლი 20. 0-დან 18 წლამდე ასაკის ბავშვების (გულის თანდაყოლილი პათოლოგიით, ლეიკემიით, ეპილეფსიით, ცერემბრალური დამბლით დაავადებული) მკურნალობის ხარჯების დაფინანსება.

1. დახმარების მისაღებად ბენეფიციარის მშობელმა ან კანონიერმა წარმომადგენელმა მუნიციპალიტეტის მერიაში უნდა წარმოადგინოს:

ა) წერილობითი განცხადება;

ბ) განმცხადებლის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ალი;

გ) 0-დან 18 წლამდე ასაკის პირის დაბადების ან პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;

დ) ცნობა შესაბამისი სამედიცინო დაწესებულებიდან (ფორმა IV-100/ა) და ანგარიშ-ფაქტურა;

2. გულის თანდაყოლილი პათოლოგიით (გულის მანკი), ლეიკემიით, ეპილეფსიით და ცერემბრალური დამბლით დაავადებული პირების მკურნალობის ხარჯი დაფინანსდეს სრულად.

3. თანხა ჩაირიცხოს მომსახურე სამედიიცნო დაწესებულებას საბანკო რეკვიზიტებზე

მუნიციპალიტეტის მერის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტის (ბრძანების) საფუძველზე.

მუხლი 21. ჰემოფილიით დაავადებულ პირთა ფულადი დახმარება

1. ჰემოფილიით დაავადებული პირები ფულად დახმარებას მიიღებენ წელიწადში ერთხელ არაუმეტეს 500 (ხუთასი) ლარისა;

2. დახმარების მისაღებად განმცხადებელმა, ან კანონიერმა წარმომადგენელმა მუნიციპალიტეტის მერიაში უნდა წარმოადგინოს:

ა) წერილობითი განცხადება;

ბ) განმცხადებლის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;

გ) დახმარების მიმღების დაბადების ან პირადობის მოწმობის ასლი;

დ) ბენეფიცირის ან კანონიერი წარმომადგენლის საბანკო რეკვიზიტები;

3. ფულადი დახმარება გაიცემა მუნიციპალიტეტის მერის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის (ბრძანების) საფუძველზე.

მუხლი 22. სოციალური პრობლემების გადაწყვეტის და კულტურულ-საგანმანათლებლო სფეროს განვითარების ხელშეწყობის მიზნით პროგრამების თანადაფინანსება

1. მუნიციპალიტეტის მერის მიერ თანადაფინანსებას ექვემდებარება სოციალური პრობლემების გადაწყვეტის მიზნით იურიდიული პირების მიერ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი წარმოდგენილი პროექტები/პროგრამები.

2. პროექტის თანადაფინანსებისთვის მუნიციპალიტეტის მერიაში წარმოდგენილი უნდა იქნეს შემდეგი დოკუმენტაცია:

ა) წერილობითი მოთხოვნა თანადაფინანსებაზე;

ბ) თანადაფინანსების მომთხოვნის საიდენტიფიკაციო დოკუმენტაცია;

გ) დასაფინანსებელი პროგრამა და შესაბამისი ხარჯთაღრიცხვა;

დ) პროგრამის მონაწილე პირთა რაოდენობა და ბენეფიციართა შესაბამისი სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტაცია (საჭიროების შემთხვევაში).

3. თანხა ჩაირიცხება იურიდიული პირის საბანკო რეკვიზიტებზე მუნიციპალიტეტის მერის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის (ბრძანების) საფუძველზე.

მუხლი 23. განსაკუთრებით მძიმე ჯანმრთელობის მდგომარეობის მქონე პირთა დახმარება

1. ქვეპროგრამის მოსარგებლეები არიან პირები, რომლებიც საჭიროებენ განსაკუთრებულ მზრუნველობას და ჯანმრთელობის ხელშეწყობის მიზნით მუდმივ მონიტორინგს.

2. დახმარების მისაღებად ბენეფიციარმა ან ბენეფიციარის მშობელმა/კანონიერმა წარმომადგენელმა მუნიციპალიტეტის მერიაში უნდა წარმოადგინოს:

ა) წერილობითი განცხადება;

ბ) განმცხადებლის პირადობის მოწმობის ასლი;

გ) ცნობა სამადიცინო დაწესებულებიდან ფორმა № IV-100/ა

დ) შშმ პირის სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტის (ასლი);

ე) დაბადების ან პირადობის მოწმობის ასლი;

ვ) განმცხადებლის საბანკო რეკვიზიტები;

3. ყოველთვიური ფულადი დახმარება თითოეულ ბენეფიციარზე განისაზღვროს 100 (ასი) ლრის ოდენობით;

4. ფულადი დახმარება გაიცემა მუნიციპალიტეტის მერის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის (ბრძანების) საფუძველზე.

მუხლი 24. ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა ფინანსური დახმარება

1. მსხვერპლმა/ბენეფიციარმა დახმარების მისაღებად მუნიციპალიტეტის მერიაში უნდა წარმოდაგინოს:

ა) წერილობითი განცხადება;

ბ) განმცხადებლის პირადობის მოწმობის ასლი;

გ) დოკუმენტი ძალადობის მსხვერპლობის შესახებ შინაგან საქმეთა სამინისტროს უწყებიდან ან/და სასამართლოდან.

დ) განმცხადებლის საბანკო რეკვიზიტები.

2. ბენეფიციარის განცხადებას შეისწავლის ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალურ და ჯანდაცვის სამსახურში არსებული სამუშაო ჯგუფი და სათანადო დასკვნით განისაზღვრება დახმარების ზუსტი ოდენობა.

3. თითოეულ ბენეფიციარზე წელიწადში ერთხელ ფულადი დახმარება განისაზღვროს არაუმეტეს 1 000 (ათასი) ლარით.

4. თანხა გაიცემა მუნიციპალიტეტის მერის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის (ბრძანების) საფუძველზე.

მუხლი 25. მეტყველების დარღვევათა კორექციის სამედიცინო მომსახურების დაფინანსება

1. მუნიციპალიტეტის მერიის მიერ მეტყველების დარღვევათა კორექციის სამედიცინო მომსახურებაზე დაფინანსებას მიიღებენ 0-დან 18 წლამდე ასაკის პირები

2. დახმარების მისაღებად ბენეფიციარის კანონიერმა წარმომადგენელმა მუნიციპალიტეტის მერიაში უნდა წარმოადგინოს:

ა) წერილობითი განცხადება;

ბ) განმცხადებლის პირადობის მოწმობის ასლი;

გ) ცნობა სამედიცინო დაწესებულებიდან ფორმა № IV-100/ა და ანგარიშ-ფაქტურა;

დ) ბავშვის დაბადების მოწმობის ასლი;

3. სამედიცინო მომსახურების თანხა თითოეულ ბენეფიციარზე წელიწადში განისაზღვროს არაუმეტეს 1800 (ათას რვაასი) ლარით;

4. თანხა ჩაირიცხება მუნიციპალიტეტის მერის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის (ბრძანების) საფუძველზე, მომსახურე სამედიცინო დაწესებულების/ორგანიზაციის მიერ წარმოდგენილი ანგარიშ-ფაქტურის შესაბამისად.

მუხლი 26. მაღალტექნოლოგიური დიაგნოსტიკური კვლევების თანადაფინანსება (კორონოგრაფია, ანგიოგრაფია, კომპიუტერული ტომოგრაფია და სხვა).

1. ქვეპროგრამის მოსარგებლეები არიან ,,სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული პირები, რომელთა სარეიტინგო ქულა არ არემატება 250 000-ს ერთეულს.

2. ქვეპროგრამის მოსარგებლის სამედიცინო მომსახურების ხარჯი განისაზღვროს არაუმეტეს 500 (ხუთასი) ლარით, გარდა გულის და/ან კორონალური არტერიების ანგიოგრაფიის.

3. გულისა და/ან კორონალური არტერიების ანგიოგრაფიის მომსახურების ხარჯი განისაზღვროს არაუმეტეს 800 (რვაასი) ლარით.

4. დახმარების მისაღებად განმცხადებელმა უნდა წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტაცია:

ა) წერილობითი განცხადება;

ბ) პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;

გ) სამედიცინო დაწესებულების მიერ გაცემული ფორმა N IV-100/ა, ანგარიშ-ფაქტურა (ინვოისი) სამედიცინო მომსახურების შესახებ

დ) ცნობა ოჯახის სარეიტინგო ქულის შესახებ;

5. ამ მუხლის მე-4 პუნქტის ,,დ“ ქვეპუნქტის მოთხოვნა არ ვრცელდება საპენსიო ასკის მოქალაქეებზე,

ბავშვებსა და შშმ პირებზე.

6. თანხა ჩაერიცხება მომსახურე სამედიცინო დაწესებულებას საბანკო რეკვიზიტზე მერის ინდივიდუალური ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის (ბრძანება) საფუძველზე.

მუხლი 27. აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა რეაბილიტაცია/აბილიტაციის მომსახურების დაფინანსება

1. პროგრამით მოსარგებლები არიან 2-დან 16 წლამდე ასაკის ბავშვები, რომელთა ძირითადი დიაგნოზია (,,ICD-10”) კლასიფიკაციის მიხედვით განსაზღვრული განვითარების ზოგადი აშლილობები (F84.0) (,,F84.9”),

- ქვეპროგრამაში ჩართვის შემთხვევაში ბენეფიციარის დიაგნოზი განსაზღვრული უნდა იყოს ,,ADOS-2“ ტესტირების სადიაგნოსტიკო კვლევის შედეგების საფუძველზე.

2. ქვეპროგრამა მოიცავს ბავშვის მოტორულ, შემეცნებით, სოციალური განვითარების, თვითმოვლის და დამამშვიდებლად ფუნქციონირების უნარების ჩამოყალიბების ხელშეწყობას. რამდენიმე სპეციალისტის (ფსიქოლოგი, ნევროლოგი,ქცევითი თერაპევტი, ოკუპაციური თერაპევტი, ლოგოპედი, სპეციალური პედაგოგი დასხვა) მიერ ინდივიდუალური წლიური გეგმის შესაბამისად მოსარგებლისათვის სეანსის მიწოდებას.

3. დახმარების მისაღებად განმცხადებელმა ან კანონიერმა წარმომადგენელმა მერიაში უნდა წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტაცია:

ა) წერილობითი განცხადება;

ბ) განმცხადებლის პირადობის მოწმობის ასლი;

გ) ქვეპროგრამით მოსარგებლის მდგომარეობის შესახებ ცნობა (ფორმაNIV-100ა), რომელშიც მითითებული უნდა იყოს პირის ძირითადი დიაგნოზი და დიაგნოსტიკისათვის აუცილებელი, სადიაგნოსტიკო კვლევის შედეგები. განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირის სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტი (ასლი);

დ) თითოეული მოსარგებლის მომსახურების წლიური ლიმიტი განისაზღვროს 3000 (სამი ათასი) ლარი.

3. თანხა ჩაერიცხება მომსახურე სამედიცინო დაწესებულების/ორგანიზაციის საბანკო რეკვიზიტზე მერის ინდივიდუალური ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის (ბრძანება) საფუძველზე.

მუხლი 28. მარტოხელა მშობლის სტატუსის მქონე პირის ფინანსური დახმარება

1. პროგრამით ისარგებლებს მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მარტოხელა მშობლის სტატუსის მქონე პირი, რომლის შვილის ასაკობრივი ზღვარი არ აღემატება 18 წელს.

2. სტატუსის მქონე პირის ყოველთვიური დახმარება განისაზღვროს 100 ლარის ოდენობით

3. მარტოხელა მშობლის სტატუსის მქონე პირმა მუნიციპალიტეტის მერიაში დახმარების მისაღებად უნდა წარმოადგინოს:

ა) წერილობითი განცხადება;

ბ) განმცხადებლის პირადობის მოწმობის ასლი;

გ) ბავშვის დაბადების მოწმობის ასლი;

დ) მარტოხელა მშობლის სტატუსის დამადასტურებელი ცნობა;

ე) განმცხადებლის საბანკო რეკვიზიტი.

4. ფულადი დახმარება გაიცემა მუნიციპალიტეტის მერის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის (ბრძანების) საფუძველზე.

მუხლი 29. აკრედიტებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტების ფინანსური დახმარება

1. პროგრამით ისარგებლებს აკრედიტებული უმაღლესი საგანმანათლებლო საბაკალავრო პროგრამის სტუდენტი, რომელიც რეგისტრირებულია ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში და ოჯახის სარეიტინგო ქულა არ აღემატება 200 000-ს ერთეულს.

2. სასწავლო წლის განმავლობაში ფინანსური დახმარება განისაზღვრა 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით;

3. მუნიციპალიტეტის მერიაში განცხადებით მიმართვა შეუძლია სტუდენტს, განცხადებას თან უნდა დაერთოს შემდეგი დოკუმენტები:

ა) საქართველოს მომქალაქის პირადობის მოწმობის ასლი ან საქართველოს მოქალაქის პასპორტის ასლი;

ბ) ამონაწერი სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიანი ბაზიდან;

გ) ცნობა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან, რომელიც უნდა შეიცავდეს ინფორმაციას სტუდენტების სტატუსის, წლიური და დასაფარი გადასახადის ოდენობის შესახებ;

დ) აკრედიტირებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საბანკო რეკვიზიტები/ანგარისფაქტურა.

4. ანგარიშსწორება განხორციელდება უფლებამოსილი აკრედიტირებული უმაღლესი სასწავლებლის საბანკო რეკვიზიტზე.

5. ფინანსური დახმარება გაიცემა მუნიციპალიტეტის მერის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის (ბრძანების) საფუძველზე.

მუხლი. 30. 18 წლის და მეტი ასაკის შშმ პირთა პერსონალური ასისტენტის მომსახურებით უზრუნველყოფის პროგრამა.

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის პერსონალური ასისტენტის სერვისის პროგრამა (შემდგომში „პროგრამა“) „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონისმე-20 მუხლის მე-3 პუნქტისა და 37-ე მუხლის მე-5 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და „სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის სახელმწიფო პროგრამის“ „პერსონალური ასისტენტის მომსახურების ქვეპროგრამის შესაბამისად განსაზღვრავს პერსონალური ასისტენტის მომსახურების განხორცილების პირობებს, მოცულობას, მომსახურებაში ჩართვისა და მომსახურების მიწოდების წესებს.

1.პროგრამის მიზანი და ამოცანა

1. პროგრამის მიზანია შშმ პირთა დამოუკიდებელი ცხოვრების და საზოგადოებაში ინტეგრირების ხელშეწყობა პერსონალური ასისტირების საშუალებით;

2. პროგრამის ამოცანაა ამ პროგრამით დადგენილი კრიტერიუმების შესაბამისად სახელმწიფოსგან დელეგირებული უფლებამოსილების განხორციელებისათვის გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში მომსახურების მიმღები პირისთვის პერსონალური ასისტენტის სერვისის მიწოდება, რომელმაც უნდა უზრუნველყოს მომსახურების მიმღებთა მიერ ინდივიდუალურ საჭიროებებზე, ფუნქციურ შესაძლებლობებსა და მოთხოვნებზე მორგებული მომსახურების მიღება, ხელი შეუწყოს მათ საკუთარ ცხოვრებაზე კონტროლის განხორციელებაში, დამოუკიდებლობის ხარისხის გაზრდასა და სოციალურ აქტივობაში.

1. **ტერმინთა განმარტება**

   ამ პროგრამაში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

   ა) პერსონალური ასისტენტის სერვისი – სერვისი (მომსახურება), რომელიც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირს უწევს სათანადო დახმარებას დამოუკიდებელი ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებისა და საკუთარი ცხოვრების კონტროლის გაზრდის მიზნით, აგრეთვე განათლების მიღებისას, სამუშაო ადგილზე საჯარო სერვისებით სარგებლობისას ან ყოველდღიური საქმიანობის განხორციელებისას;

   ბ) რეგულარული ასისტირების მომსახურება – ასისტირების ტიპი, რომელიც გაეწევა ფიზიკური, სენსორული, ასევე მსუბუქი ან საშუალო გონებრივი შეზღუდვის და

ფსიქოსოციალური საჭიროების მქონე პირებს და არ მოითხოვს სპეციალიზებულ მომზადებას, სატრენინგო კურსის გავლას. ამ დროს საკმარისია ზოგადი/ძირითადი
მოსამზადებელი სატრენინგო კურსის გავლა;

გ) სპეციალიზებული ასისტირების მომსახურება – ასისტირების ტიპი, რომელიც გაეწევა მძიმე და ღრმა გონებრივი შეზღუდვის, მძიმე ფიზიკური, ასევე მრავლობითი შეზღუდვის მქონე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს და მოითხოვს სპეციალიზებულ/დამატებით მომზადებას – სატრენინგო კურსის გავლას;

დ) მიმწოდებელი – საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში პერსონალურ ასისტირების მომსახურების მიმწოდებლად რეგისტრირებული იურიდიული პირი (ორგანიზაცია);

ე) მომსახურების მიმღები - მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული (მათ შორის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები იძულებით გადაადგილებული), 18 წელზე უფროსი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი, რომელსაც სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზის შემოწმების აქტით (ფორმა №IV-50/2) დაუდგინდა პერსონალური ასისტენტის მომსახურების საჭიროება და ასისტირების ტიპი;

ვ) ვაუჩერი – მუნიციპალიტეტის მიერ ამ პროგრამის მიზნობრივი ჯგუფისთვის გადაცემული მიმოქცევადი მატერიალიზებული ფორმის ფინანსური ინსტრუმენტი, რომელიც განკუთვნილია პერსონალური ასისტენტის მომსახურების ხარჯების დასაფინანსებლად;

ზ) მომსახურების მიღების მსურველთა სია - სია, რომელშიც შეიყვანება მომსახურების მაძიებელი, რომელიც აკმაყოფილებს პროგრამაში ჩართვის კრიტერიუმებს და აქვს მომსახურების მიღების საჭიროების შეფასების დადებითი დასკვნა, მაგრამ მიზნობრივი ტრანსფერის მოცულობიდან გამომდინარე (ფინანსური რესურსის ნაკლებობა) ვერ
ხერხდება მისი პროგრამაში ჩართვა;

თ) მომსახურების მაძიებელი - პირი, რომელიც განაცხადით მიმართავს მუნიციპალიტეტს პერსონალური ასისტენტის მომსახურებაში ჩარიცხვის შესახებ;

ი) მოსარგებლე - პერსონალური ასისტენტის მომსახურების მიმღები პირი;

კ) სამინისტრო - საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო;

ლ) სააგენტო - სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული სსიპ – სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტო.

2. **პროგრამის აღწერა და ინფორმაციის გავრცელება**

1. პერსონალური ასისტენტის სერვისი მიმარულია ხელი შეუწყოს მომსახურების მიმღებ პირს საკუთარ ცხოვრებაზე კონტროლის განხორციელებაში, დამოუკიდებლობის ხარისხის გაზრდასა და სოციალურ აქტივობაში. ამ მიზნით, პერსონალური ასისტენტის სერვისი მომსახურების მიმღები პირის ინდივიდუალური საჭიროებისა და სურვილის მიხედვით

შეიძლება მოიცავდეს კვების, საკუთარი თავის მოვლის, ჩაცმის, სახლის საქმის, საყიდლებზე სიარულის, მობილობისა და კომუნიკაციის, ჯანმრთელობის დაცვის, რეაბილიტაციისა და განვითარების მომსახურების მიღებაში, ასევე მუშაობისა და დასვენების, დღის დაგეგმვის ან/და სხვა მსგავს აქტივობებში დახმარებას.

2. პერსონალური ასისტენტის მომსახურების პროგრამის შესახებ ინფორმაციის (სერვისის შინაარსი,

ფორმები, ასისტირების სფეროები, მოცულობა, სამიზნე ჯგუფი, უფლებები, ინფორმაციას

პერსონალური ასისტენტის მომსახურების მიმწოდებელი ორგანიზაციის/ების შესახებ და სხვა)

გავრცელებას უზრუნველყოფს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერია შემდეგი საშუალებებით:

ა) ადგილობრივი საინფორმაციო მედია;

ბ) სოციალური ქსელი;

გ) ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ოფიციალური ვებგვერდი;

დ) მერის წარმომადგენლები მუნიციპალიტეტის შესაბამის ადმინისტრაციულ ერთეულებში;

3. პროგრამით მომსახურების მიმღები პირები და პროგრამაში ჩართვის კრიტერიუმები

1. პროგრამით დადგენილი მომსახურების მიმღები პირია ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული და ფაქტობრივად მცხოვრები 18 წელზე უფროსი ასაკის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი, რომელსაც სამინისტროს მიერ უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულების მიერ დადგენილი წესით განხორციელებული შეფასების საფუძველზე

განესაზღვრა პერსონალური ასისტენტის მომსახურების საჭიროება და ასისტირების ტიპი.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი პირებისთვის პროგრამაში ჩართვის დამატებითი კრიტერიუმებია:

ა) სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული პირები, რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 150 000-ს;

ბ) მარჩენალდაკარგულის სტატუსის მქონე პირი;

გ) მარტოხელა პენსიონერი (ამ პროგრამის მიზნებისთვის მარტოხელა პენსიონერი არის პირი, რომელსაც არ ჰყავს შვილები და/ან მარჩენალი);

დ) მარტოხელა მშობლის სტატუსის მქონე პირი;

ე) მრავალშვილიანი ოჯახის სრულწლოვანი პირი;

ვ) ომის ვეტერანი;

ზ) იძულებით გადაადგილებული პირი.

3. პროგრამაში ჩართვის გამომრიცხავი გარემოებაა ანალოგიური ან მსგავსი სახელმწიფო ან მუნიციპალური პროგრამით სარგებლობა;

4. პროგრამაში ჩართვის პრიორიტეტებია:

ა) წინა წლის განმავლობაში პერსონალური ასისტენტის მომსახურებით სარგებლობა;

ბ) ერთდროულად ორი და მეტი კრიტერიუმის დაკმაყოფილება;

გ) მომსახურების მიღების მსურველთა სიაში რეგისტრაცია (მომლოდინეთა სია).

4. პროგრამაში ჩართვის პროცედურები და წარსადგენი დოკუმენტაცია

1. მომსახურების მიღების მსურველი შშმ პირი/მხარდამჭერი/კანონიერი წარმომადგენელი განცხადებით მიმართავს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიას შემდეგი დოკუმენტაციით:

ა) შევსებული განაცხადის ფორმა;

ბ) ასისტირების საჭიროების მქონე პირის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

გ) კანონიერი წარმომადგენლის/მხარდამჭერის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი და შესაბამისი დოკუმენტაცია, რომელიც ადასტურებს, რომ პირს ჰყავს კანონიერი წარმომადგენელი/მხარდამჭერი;

დ) შშმ პირის სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტი;

ე) მე-5 მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრულ კრიტერიუმებთან შესაბამისობის დამადასტურებელი დოკუმენტები.

2. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახური ვალდებულია 10

სამუშაო დღის ვადაში განიხილოს წარდგენილი დოკუმენტები. თუ დოკუმენტები სრულყოფილად არის წარდგენილი და განმცხადებელი აკმაყოფილებს მე-5 მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრულ კრიტერიუმებს, მერია აცნობებს განმცხადებელს, რომ შეფასების პროცედურის გასავლელად 1 თვის ვადაში მიმართოს უფლებამოსილ სამედიცინო

დაწესებულებას, რომელიც სტანდარტიზებული კითხვარის საფუძველზე განსაზღვრავს მოსარგებლის პერსონალური ასისტირების საჭიროებას (რეგულარული/სპეციალიზებული).

3. მომსახურების მაძიებლის შეფასების შემდგომ უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულება გასცემს პერსონალური ასისტენტის საჭიროების შეფასების ფორმას/დასკვნას, რომელიც 1 თვის ვადაში წარდგენილი უნდა იქნეს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიაში პროგრამაში ჩართვის საკითხის განხილვის მიზნით.

4. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახური განიხილავს

განმცხადებლის პროგრამაში ჩართვის საკითხს განცხადების, თანდართული დოკუმენტების, შეფასების ფორმის/დასკვნის საფუძველზე და მიზნობრივი ტრანსფერის სახით პროგრამის განხორციელებისთვის გამოყოფილი ფინანსური რესურსის გათვალისწინებით, ამზადებს დასაბუთებულ გადაწყვეტილების

პროექტს მომსახურების მაძიებელი პირის პროგრამაში ჩართვის ან პროგრამაში ჩართვაზე უარის

შესახებ და წარუდგენს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერს გადაწყვეტილების მისაღებად.

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერის მიერ მიღებული გადაწყვეტილება ეცნობება

მომსახურების

მაძიებელს. დადებითი გადაწყვეტილების შემთხვევაში დამატებით იგზავნება მუნიციპალიტეტში სამინისტროს მიერ მომსახურების მიმწოდებლად რეგისტრირებული ორგანიზაციების სია და საკონტაქტო ინფორმაცია.

5. თუ მომსახურების მაძიებელი აკმაყოფილებს პროგრამაში ჩართვის კრიტერიუმებს და აქვს მომსახურების მიღების საჭიროების შეფასების დადებითი დასკვნა, მაგრამ მიზნობრივი ტრანსფერის მოცულობიდან გამომდინარე (ფინანსური რესურსის ნაკლებობა)
6. ვერ ხერხდება მისი პროგრამაში ჩართვა, სურვილის შემთხვევაში, პირი შეყვანილ იქნება მომსახურების მიღების მსურველთა სიაში.

მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში შესაბამისი რესურსის გამოთავისუფლების შემთხვევაში (მოსარგებლეთა გამოთიშვა პროგრამიდან, ტრანსფერის მოცულობის ზრდა, და ა.შ.) ამ სიაში შეყვანილ პირთა დაფინანსების თაობაზე გადაწყვეტილება მიიღება ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერის მიერ ამ პროგრამით განსაზღვრული კრიტერიუმების გათვალისწინებით.

7. **სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის მუშაობის წესი**

1. პერსონალური ასისტენტის სერვისის პროგრამის ეფექტიანად განხორციელებას და დადგენილი სტანდარტების დაცვას უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახური (შემდგომში ,,სამსახური“), რომელიც უზრუნველყოფს პერსონალური ასისტენტის სერვისის პროგრამაში ჩართვის შესახებ განცხადებების განხილვას და პროგრამით დადგენილი კრიტერიუმების საფუძველზე შესაბამისი გადაწყვეტილების პროექტის მომზადებას.

2. სამსახური ერთი თვის ვადაში განიხილავს მომსახურების მისაღებად წარმოდგენილ დოკუმენტაციას და პირისთვის პერსონალური ასისტენტის მომსახურების პროგრამაში ჩართვის ან უარის თქმის შესახებ დასაბუთებული გადაწყვეტილების პროექტს წარუდგენს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერს.

3. საბოლოო გადაწყვეტილებას პირისთვის პერსონალური ასისტენტის მომსახურების პროგრამაში ჩართვის ან უარის თქმის შესახებ იღებს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერი.

4.დადებითი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში გამოიცემა ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი.

8. **პროგრამაში ჩართვის ორგანიზება**

1. პროგრამაში ჩართვის შესახებ მერის გადაწყვეტილების მიღების შემდეგ, მომსახურების მაძიებელს ეცნობება დადებითი გადაწყვეტილება და ეგზავნება მუნიციპალიტეტში მომსახურების მიმწოდებლად რეგისტრირებული ორგანიზაციების სია და საკონტაქტო ინფორმაცია.

2. შეტყობინების მიღებიდან 10 სამუშაო დღის ვადაში მომსახურების მაძიებელმა უნდა მიმართოს მუნიციპალიტეტში მომსახურების მიმწოდებლად რეგისტრირებულ მისთვის სასურველ

ორგანიზაციას პერსონალური ასისტენტის შერჩევის, ასისტირების მოცულობისა და პირობების შეთანხმების მიზნით.

3. მომსახურების მიღების მსურველის ან მისი კანონიერი წარმომადგენლის მიერ მიმწოდებელი ორგანიზაციისათვის გაკეთებული მიმართვის საფუძველზე, მიმწოდებელი ორგანიზაცია არაუგვიანეს 10 სამუშაო დღის ვადაში ახორციელებს მომსახურების მიღების მსურველი პირის საჭიროებების შეფასებას საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2022 წლის 18 თებერვლის №01-13/ნ ბრძანების „შეზღუდული

შესაძლებლობების მქონე პირთა პერსონალური ასისტენტის სერვისის მართვის სტანდარტების დამტკიცების შესახებ“ შესაბამისად, რომელიც გულისხმობს შემდეგს:

ა) ცხოვრების სტილის, გარემოს და სხვა მნიშვნელოვანი ინფორმაციის, სასურველი აქტივობების განხორციელების და მათთან დაკავშირებული საჭიროებების, ასისტირებისთვის საჭირო საათების ოდენობის და მომსახურების სახეების განსაზღვრას ვაუჩერით დადგენილი თანხის ფარგლებში და უზრუნველყოფს მომსახურების მიმღები პირის მიერ პერსონალური ასისტენტის/ასისტენტების შერჩევას, მისი სურვილის, შესაძლებლობების, საჭიროებების (მაგ.: ასაკი, სქესი, პიროვნული თვისებები, კულტურული თავისებურებები, ინტერესები, საკომუნიკაციო ენა, ჩვევები და ა.შ.) და ასისტენტის კომპეტენციების გათვალისწინებით.

ბ) მიმწოდებელი ორგანიზაცია მომსახურების მიმღებ პირთან შეთანხმებით თანამშრომლობს მასთან დაკავშირებულ სარეაბილიტაციო, საგანმანათლებლო, სამედიცინო და სხვა სფეროს სპეციალისტებთან და უზრუნველყოფს არსებული ინდივიდუალური განვითარების გეგმების მიზნების შესაბამისად მომსახურების მიმღები პირისთვის დანიშნული პროცედურების/დავალებების შესრულებაში, უნარების განვითარებაში დახმარებას.

4. პერსონალური ასისტენტის შერჩევის შემდეგ 5 სამუშაო დღის ვადაში მიმწოდებელს, პერსონალურ ასისტენტს და მომსახურების მიმღებ პირს შორის ფორმდება პერსონალური ასისტირების მომსახურების თაობაზე სამმხრივი ხელშეკრულება, რომელიც მოიცავს პერსონალური ასისტენტის მიერ გასაწევი საქმიანობების/მომსახურების სფეროებს, ვალდებულებებს, ვადებს, მომსახურების განრიგს, კონფიდენციალურობის დაცვის და უსაფრთხოების საკითხებს, ურთიერთობის წესებს და მომსახურებასთან დაკავშირებულ სხვა სპეციფიკურ ასპექტებს. მხარეებს შორის გასაფორმებელი სამმხრივი ხელშეკრულების პროექტი მომსახურების დადგენილ სტანდარტებთან და შრომის კანონმდებლობასთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად წარედგინება ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიას.

5. მე-8 მუხლის მე-2, მე-3 და მე-4 პუნქტებით გათვალისწინებული ვადების არასაპატიო მიზეზით დარღვევა ან მომსახურების მიმწოდებელ ორგანიზაციას, მომსახურების მიმღებსა და პერსონალურ ასისტენტს შორის შეთანხმების მიუღწევლობა წარმოადგენს პროგრამაში მაძიებლის ჩართვაზე უარის თქმის საფუძველს.

9. მომსახურების შეჩერებისა და შეწყვეტის საფუძვლები

1. მომსახურების შეჩერების საფუძვლებია:

ა) მოსარგებლე პირის პირადი განცხადება;

ბ) მუნიციპალიტეტში ყველა რეგისტრირებული მომსახურების მიმწოდებლის ფუნქციონირების შეჩერება, შეჩერების ვადით ან არაუმეტეს პროგრამის მოქმედების ვადისა;

გ) გარემოების ცვლილება, რომელიც საჭიროებს ასისტირების ტიპის ცვლილებას.

2. მომსახურების შეწყვეტის საფუძვლებია:

ა) მოსარგებლე პირის პირადი განცხადება;

ბ) მომსახურების ზედიზედ 60 დღის მანძილზე გამოუყენებლობა;

გ) მუნიციპალიტეტში ყველა რეგისტრირებული მომსახურების მიმწოდებლის ფუნქციონირების შეწყვეტა;

დ) მომსახურების მიმღების რეგისტრაციის ან ფაქტობრივი საცხოვრებელი ადგილის შეცვლა, როდესაც ახალი რეგისტრაციის ან ფაქტობრივი საცხოვრებელი ადგილი სცილდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიას;

ე) მოსარგებლის მიერ სამმხრივი ხელშეკრულების არსებითი დარღვევა;

ვ) მოსარგებლე ერთვება სხვა მსგავს პროგრამაში;

ზ) გარემოებების არსებითი ცვლილება, რომლის შედეგადაც მოსარგებლე ვეღარ აკმაყოფილებს პროგრამაში ჩართვის კრიტერიუმებს;

თ) მოსარგებლის გარდაცვალება.

10. პროგრამის ბიუჯეტი და პროგრამის დაფინანსება

1. პროგრამის ყოველწლიური ბიუჯეტი განისაზღვრება სახელმწიფო ბიუჯეტიდან მუნიციპალიტეტისთვის პერსონალური ასისტენტის სერვისის განსახორციელებლად გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერით.

2. პერსონალური ასისტენტის მომსახურების დაფინანსება, რომელიც ხორციელდება მატერიალიზებული ვაუჩერის ფორმით, მოიცავს მიმწოდებლის მიერ მომსახურების მიმღები

პირის შეფასებას, პერსონალური ასისტენტის ხელფასს, მომსახურების გაწევასთან დაკავშირებულ ადმინისტრირების და საზედამხედველო ხარჯებს.

3. მომსახურების მიმღები პირისთვის მისი სურვილისა და საჭიროების გათვალისწინებით პერსონალური ასისტენტის მომსახურება დაფინანსდება:

ა) რეგულარული ასისტირებისთვის – არაუმეტეს თვეში 60 საათი;

ბ) სპეციალიზებული ასისტირებისთვის – არაუმეტეს თვეში 120 საათი.

4. რეგულარული ასისტირებისთვის დაფინანსების ოდენობა (ტარიფი) არის საათში 12 ლარი, ხოლო

სპეციალიზებული ასისტირებისთვის – საათში 13 ლარი.

5. პროგრამით გათვალისწინებული მომსახურების დაფინანსება ხორციელდება ვაუჩერის მეშვეობით ფაქტობრივად გაწეული მომსახურების მიხედვით, ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული ლიმიტის ფარგლებში, მომსახურების მიმწოდებელი ორგანიზაციის მიერ წარმოდგენილი მოთხოვნის შესაბამისად.

6. გაწეული მომსახურებისათვის თანხის მისაღებად მიმწოდებელი პროგრამის განმახორციელებელს წარუდგენს საანგარიშგებო დოკუმენტაციას ფაქტობრივად გაწეული საათობრივი მომსახურების

შესახებ (ბენეფიციართა რეესტრი და მომსახურების მიწოდების დამადასტურებელი დოკუმენტები) საანგარიშგებო თვის მომდევნო თვის 10 რიცხვამდე.

7. შესრულებული სამუშაოს დადასტურების შემთხვევაში, ანგარიშსწორება ხორციელდება ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე.

10. მომსახურების მონიტორინგი

1. პერონალური ასისტენტის მომსახურების დადგენილ სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახური:

ა) პერიოდულად ახორციელებს მიწოდებული მომსახურების სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებთან, მათ შორის, პერსონალის მიმართ დადგენილ კრიტერიუმებთან შესაბამისობის შემოწმებას;

ბ) მომსახურების არასათანადოდ განხორციელების თაობაზე მიღებული ინფორმაციის საფუძველზე ახდენს კონკრეტული ფაქტის შესწავლას;

გ) მონიტორინგის შედეგად შეიმუშავებს რეკომენდაციებს მიმწოდებლისთვის და ახორციელებს რეკომენდაციების შესრულების კონტროლს;

დ) პერიოდული მონიტორინგის და კონკრეტული ინფორმაციის მიღების შედეგად განხორციელებული მონიტორინგის, ასევე გაცემული რეკომენდაციების გონივრულ ვადაში შესრულების შემოწმების საფუძველზე, უფლებამოსილია დასვას მიმწოდებლისთვის რეგისტრაციის შეწყვეტის საკითხი.

თავი II

სოციალური დახმარების დანიშვნისა და გაცემის ორგანიზება და ადმინისტრირება

მუხლი 31. სოციალური დახმარების დანიშვნისა და გაცემის ორგანიზებაზე პასუხისმგებელი

სამსახური

1.ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური დაცვის ღონისძიებათა მუნიციპალური პროგრამით გათვალისწინებული სოციალური დახმარების დანიშვნისა და გაცემის ორგანიზებას უზრუნველყოფს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახური. (შემდგომში სამსახური).

2. სამსახური პასუხისმგებელია ასევე მუნიციპალური დახმარების მიმღებთა (ბენეფიციართა) სიების კომპიუტერულ დამუშავებაზე.

მუხლი 32. ბენეფიციარის მიერ სოციალური დახმარების დასანიშნად ან მისაღებად საჭირო დოკუმენტაციის წარდგენა

1. სოციალური დახმარების დასანიშნად ან მისაღებად ბენეფიციარი წერილობითი განცხადებით მიმართავს და შესაბამის დოკუმენტაციას წარუდგენს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერს.

2. მერიის ადმინისტრაციულ სამსახურში რეგისტრაციისას, წერილობით განცხადებაზე ასლების სახით თანდართული ყველა დოკუმენტი ადმინისტრაციული სამსახურის პასუხისმგებელი თანამშრომლის მიერ უნდა შედარდეს დედანთან. წარმოდგენილი პირველადი დოკუმენტაციის სისწორეზე პასუხისმგებელია მუნიციპალიტეტის მერია. მერიაში შემოსული ყველა განცხადება თანდართული დოკუმენტაციითურთ მათ შესასწავლად და სოციალური დახმარების გაცემის საკითხზე შესაბამისი ბრძანების პროექტის მოსამზადებლად ეგზავნება სოციალური და ჯანდაცვის სამსახურს.

მუხლი 33. სამსახურის მიერ განცხადებების განხილვა

1.მუნიციპალიტეტის მერიაში შემოსულ განცხადებებს განიხილავს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახური და საკითხის დადებითად გადაწყვეტის შემთხვევაში სამსახურის მომზადებული დასკვნის საფუძველზე მუნიციპალიტეტის მერის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით (ბრძანებით) გაიცემა სოციალური დახმარებები.

მუხლი 34. სამსახურის მიერ გადაწყვეტილების მიღება

1.სამსახური სოციალური დახმარების გაცემის საკითხის განხილვისას ხელმძღვანელობს საქართველოსზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-6 თავით გათვალისწინებული მარტივი ადმინისტრაციული წარმოებით.

2. სოციალური დახმარების გაცემის საკითხის გადაწყვეტა ხდება მკაცრად, ინდივიდუალურად, ყოველი კონკრეტული შემთხვევის არსებითად და ყოველმხრივ შესწავლის საფუძველზე.

3. სამსახური უზრუნველყოფს ყოველთვიური დახმარების მიმღებთა ოჯახებში მომხდარი ცვლილებების სისტემატურ შემოწმებას, რის საფუძველზეც შეაქვს შესაბამისი შესწორებები

(დახმარების დანიშვნა გაუქმება, შეწყვეტა, აღდგენა) ბენეფიციართა საქმეში. ცვლილებებში იგულისხმება ბენეფიციართა ახალი ოჯახების გამოვლენა ან გაუქმება, ოჯახის წევრთა მატება-კლება, ბავშვების სრულწლოვანების დადგენა, სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული

და უსახლკაროდ დარჩენილი ოჯახის საცხოვრებელი სახლების გამოლენა, აღრიცხვა და ა.შ.

4. ყოველთვიური ინფორმაცია დახმარების დანიშვნის ან შეწყვეტის შესახებ, დასკვნის სახით, სამსახურის უფროსის მიერ ეგზავნება მუნიციპალიტეტის მერს ხელმოსაწერად კონტინგენტის მონაცვლეობის სიებთან ერთად.

მუხლი 35. სოციალური დახმარების გაცემის შესახებ საბოლოო გადაწყვეტილების მიღება

1. სოციალური დახმარების გაცემის შესახებ საბოლოო გადაწყვეტილების მიღება ხდება ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერის მიერ, რომელიც სამსახურის დასკვნის საფუძველზე გამოსცემს შესაბამის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს (ბრძანებას).

2. მერის ბრძანებით განისაზღვრება ბენეფიციართა პერსონალური შემადგენლობა და ინიშნება სოციალური დახმარება.

3. გადაუდებელ შემთხვევაში, როდესაც აუცილებელია წინამდებარე წესის მე-14, მე-15 მე-17. მე-18, მე-19 და მე-21 მუხლებით გათვალისწინებულ ბენეფიციართათვის სასწრაფო სამედიცინო მომსახურების თანადაფინანსება და დაყოვნებამ შეიძლება სავალალო შედეგები გამოიწვიოს, დახმარება შეიძლება გაიცეს სამსახურის დასკვნის გარეშე, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით (ბრძანებით).

მუხლი 36. ანგარიშის წარდგენა

ინფორმაცია განხილული განცხადებების, გაცემული დახმარებების შესახებ კვარტალში ერთხელ (ჯამურად) მომდევნო კვარტლის პირველი თვის 15 რიცხვამდე წარედგინოს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს.